პაროლების პოლიტიკა



პაროლი ინფორმაციული უსაფრთხოების კრიტიკული კომპონენტია. ის იცავს მომხმარებლის ანგარიშებს, თუმცა არასწორად შედგენილი პაროლი შეიძლება გახდეს სისტემის გატეხვის მიზეზი. პოლიტიკის მიზანია შექმნას პაროლების შედგენის გზამკვლევი.

- პაროლი უნდა შედგებოდეს მინიმუმ 8 სიმბოლოსგან. სასურველია 12 სიმბოლო.
- უნდა შეიცავდეს ანბანის დიდ და პატარა სიმბოლოებს.
- მინიმუმ ერთ ციფრს.
- უნდა შეიცავდეს მინიმუმ ერთ სპეციალურ სიმბოლოს. (!@№§%^&*+=)
- პაროლი არ უნდა იყოს სიტყვა, რომელიც იძებნება ლექსიკონში, არ უნდა იყოს ჟარგონი.
- არ უნდა შეიცავდეს დაბადების თარიღს, მისამართს, ტელეფონის ნომერს, გვარს, სახელს, ცხოველის სახელს და სხვა მაიდენტიფიცირებელ მონაცემებს.
- არ უნდა შეიცავდეს სამსახურთან დაკავშირებულ სახელებს. კომპანიის სახელს, მისამართს და ა.შ.
- არ უნდა შეიცავდეს შაბლონებს. 12345678, qwerty.
- არ უნდა შეიცავდეს უკუღმა დაწერილ სიტყვებს.
- სხვადასხვა სიტემებისთვის გამოიყენეთ სხვადასხვა პაროლი.

შეცვალეთ პაროლი პერიოდულად. პერსონალურ კომპიუტერზე – სასურველია 6 თვეში ერთხელ.

პაროლის ჩაწერის ნაცვლად უმჯობესია შეადგინოთ ისეთი პაროლი, რომელსაც ადვილად დაიმახსოვრებთ. ერთ-ერთი გზა არის სიმღერის ფრაზა ან სათაური, მაგრამ ნაცვლად პირდაპირი ტექსტისა, გამოიყენეთ სიტყვის პირველი ასოები და ზოგი მათგანი ჩაანაცვლეთ ციფრებით, “S” — “§”-ით. მაგ. „This may be one way to remember” შეიძლება გადაკეთდეს პაროლად: TmB1w2R!.